

შიდა მობილობის წინაპირობები და კრიტერიუმები (გაზაფხული 2022)

I. ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა

წინაპირობები/კრიტერიუმები

1. კანდიდატს 2019 წლის მერე ერთიან ეროვნულ გამოცდებზე უნდა ჰქონდეს ჩაბარებული მათემატიკა ან ისტორია

2. გასაუბრება

კრიტერიუმები:

ა) აკადემიური მოსწრება (60 ქულა)

- ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგები - 20 ქულა, სადაც 20 ქულა - თავისუფალი უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის მიმდინარე სასწავლო წლის საუკეთესო ქულაა;
- აკადემიური მოსწრება - 40 ქულა, სადაც 40 ქულა იწერება, როცა ყველა გავლილ ან მიმდინარე საგანში კანდიდატს აქვს მიღებული მაქსიმალური შეფასება.

ბ) მოტივაცია (40 ქულა)

გასაუბრებაზე შემოწმდება:

- მოტივაცია, სფეროსადმი ინტერესი
- კომუნიკაციისა და ლოგიკური მჯელობის უნარები
- აკადემიური გამოცდილება
- ეთიკის სტანდარტი

დადებითი გადაწყვეტილების მიღებისთვის კანდიდატმა უნდა დააგროვოს ჯამში არანაკლებ 70 ქულა.

II. მართვისა და საზოგადოებრივ მეცნიერებათა საბაკალავრო პროგრამა

წინაპირობები/კრიტერიუმები

1. კანდიდატს 2019 წლის მერე ერთიან ეროვნულ გამოცდებზე უნდა ჰქონდეს ჩაბარებული მათემატიკა ან ისტორია

2. მინიმალური GPA 2.5 კურიკულუმით გათვალისწინებული საუნივერსიტეტო ზოგადი განათლების საგნების მიხედვით - 30 ქულა, სადაც 30 ქულა არის GPA 4.0.

3. გასაუბრება - 70 ქულა

გასაუბრებაზე შემოწმდება:

- მოტივაცია, სფეროსადმი ინტერესი
- კომუნიკაციისა და ლოგიკური მჯელობის უნარები
- აკადემიური გამოცდილება
- ეთიკის სტანდარტი

დადებითი გადაწყვეტილების მიღებისთვის კანდიდატმა უნდა დააგროვოს ჯამში არანაკლებ 70 ქულა.

*გაითვალისწინეთ, რომ მობილობის ვადებიდან გამომდინარე გადაწყვეტილება მობილობის შესახებ იქნება მიღებული FX და ნებისმიერი სახის აღდგენითი გამოცდების ჩატარებამდე, საგნებში მიმდინარე შეფასებების საფუძველზე (რადგან გადაბარების ქულების დადებამდე ველოდებით ხოლმე ნიშნების ფურცელს, ხშირ შემთხვევაში).

III. კომპიუტერული მეცნიერებების და მათემატიკის საბაკალავრო პროგრამა

წინაპირობები/კრიტერიუმები

1. კანდიდატს 2019 წლის მერე ერთიან ეროვნულ გამოცდებზე უნდა ჰქონდეს ჩაბარებული მათემატიკა

2. პროგრამირების მეთოდოლოგიის საგანი - 70 ქულა

კრიტერიუმის შეფასება მოხდება შემდეგნაირად:

- თქვენი ქულა პროგრამირების მეთოდოლოგიის საგანში 100 ბალიანი შკალიდან გადავა 70 ბალიან შკალაზე, მაგალითად, თუ თქვენ გყავთ 90 ქულა პროგრამირების მეთოდოლოგიის საგანში, ამ კრიტერიუმში დაგეწერებათ 63 ქულა.
- იმ შემთხვევაში თუ პროგრამირების მეთოდოლოგიის საგანში თქვენი ქულა 81-ზე ნაკლებია (პროპორციული 56,7), მიმდინარე კრიტერიუმში დაგეწერებათ 0 ქულა და დაკარგავთ მობილობით გადმოსვლის შესაძლებლობას.

3. აკადემიური მოსწრება - 30 ქულა

კრიტერიუმის შეფასება მოხდება შემდეგნაირად:

- იმ შემთხვევაში, თუ გაქვთ მიღებული უარყოფითი შეფასება (F ან FX) ნებისმიერ ერთ STEM საგანში*, აკადემიურ მოსწრებაში დაგეწერებათ 0 ქულა და დაკარგავთ მობილობით გადმოსვლის შესაძლებლობას.
- იმ შემთხვევაში, თუ გაქვთ თავისუფალი უნივერსიტეტის სტუდენტის ეთიკის კოდექსის დარღვევა, აკადემიურ მოსწრებაში დაგეწერებათ 0 ქულა და დაკარგავთ მობილობით გადმოსვლის შესაძლებლობას.
- დანარჩენ შემთხვევებში აკადემიური მოსწრება შეფასდება თქვენი მიმდინარე GPA-ს პროპორციულად, მაგალითად თუ თქვენი მიმდინარე GPA არის 3.6, მაშინ აკადემიურ მოსწრებაში დაგეწერებათ 27 ქულა.

4. სამოტივაციო წერილი „რატომ უნდა ვისწავლო მაქსის კომპიუტერულ მეცნიერების პროგრამაზე“ - ბონუს 1 ქულა.

კრიტერიუმის შეფასება მოხდება შემდეგნაირად:

- სამოტივაციო წერილი წარმოდგენილია და პასუხობს სათაურს - 1 ქულა
- სამოტივაციო წერილი წარმოდგენილი არ არის/ არ პასუხობს სათაურს - 0 ქულა.

სამოტივაციო წერილის მოცულობა - მაქსიმუმ 500 სიტყვა.

დადებითი გადაწყვეტილების მიღებისთვის კანდიდატმა უნდა დააგროვოს მინიმუმ 81 ქულა.

* STEM = Science, Technology, Engineering, and Mathematics. STEM საგანია, ნებისმიერი საგანი დაკავშირებული ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებთან (მაგ. ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია, სტატისტიკა, ლოგიკა), კომპიუტერულ მეცნიერებებთან, ასევე ტექნოლოგიებთან, ინჟინერიასთან და მათემატიკასთან. ასეთი საგნებია:

- აზროვნების მათემატიკური წესი
- საყოველთაო მათემატიკა
- ლოგიკა
- ბიზნესის და მართვის სკოლების „კალკულუსი“
- ბიზნესის და მართვის სკოლის „სტატისტიკა“

- შესავალი ციფრულ ტექნოლოგიებში
- ფიზიკის სკოლის ნებისმიერი საბაზო და ძირითადი განათლების საგანი
- კომპიუტერული და ელექტრო ინჟინერიის პროგრამის ნებისმიერი საბაზო და ძირითადი განათლების საგანი.
- შენობის სისტემების ინჟინერიის პროგრამის ნებისმიერი საბაზო და ძირითადი განათლების საგანი.
- კომპიუტერული მეცნიერებისა და მათემატიკის პროგრამის ნებისმიერი საბაზო, ზოგადი, ძირითადი და სპეციალობის არჩევითი განათლების საგანი
- სხვა ნებისმიერი საგანი, რომელიც არ არის ამ ჩამონათვალში, თუმცა თავის შინაარსით STEM კატეგორიას მიეკუთვნება.

*გაითვალისწინეთ, რომ მობილობის ვადებიდან გამომდინარე გადაწყვეტილება მობილობის შესახებ იქნება მიღებული FX და ნებისმიერი სახის აღდგენითი გამოცდების ჩატარებამდე, საგნებში მიმდინარე შეფასებების საფუძველზე.

IV. ელექტრო და კომპიუტერული ინჟინერიის საბაკალავრო პროგრამა

წინაპირობები/კრიტერიუმები

1. კანდიდატს 2019 წლის მერე ერთიან ეროვნულ გამოცდებზე უნდა ჰქონდეს ჩაბარებული მათემატიკა

2. ტესტი მათემატიკაში - 50 ქულა.

10 მათემატიკური ამოცანა, მათგან 7 სკოლის მათემატიკის სირთულის (28 ქულა); 3 - შედარებით რთული ამოცანა, შესაბამისობაში კალკულუსის საწყისებთან (22 ქულა);

3. აკადემიური მოსწრება - 30 ქულა

კრიტერიუმის შეფასება მოხდება შემდეგნაირად:

- იმ შემთხვევაში, თუ გაქვთ მიღებული უარყოფითი შეფასება (F ან FX) ნებისმიერ ერთ STEM საგანში*, აკადემიურ მოსწრებაში დაგეწერებათ 0 ქულა.
- დანარჩენ შემთხვევებში აკადემიური მოსწრება შეფასდება თქვენი მიმდინარე GPA-ს პროპორციულად, მაგალითად თუ თქვენი მიმდინარე GPA არის 3.6, მაშინ აკადემიურ მოსწრებაში დაგეწერებათ 27 ქულა.

4. სამოტივაციო წერილი - ბონუს 1 ქულა.

კრიტერიუმის შეფასება მოხდება შემდეგნაირად:

- სამოტივაციო წერილი წარმოდგენილია და პასუხობს სათაურს - 1 ქულა
- სამოტივაციო წერილი წარმოდგენილი არ არის/ არ პასუხობს სათაურს - 0 ქულა

სამოტივაციო წერილის მოცულობა - მაქსიმუმ 500 სიტყვა

5. გასაუბრება - 20 ქულა.

გასაუბრებაზე შემოწმდება:

- მოტივაცია, სფეროსადმი ინტერესი
- კომუნიკაციისა და ლოგიკური მჯელობის უნარები
- აკადემიური გამოცდილება
- ეთიკის სტანდარტი

დადებითი გადაწყვეტილების მიღებისთვის კანდიდატმა უნდა დააგროვოს მინიმუმ 81 ქულა

*STEM საგნებია ნებისმიერი საგანი დაკავშირებული მეცნიერებასთან, ტექნოლოგიებთან, კომპიუტერულ მეცნიერებებთან, ინჟინერიასთან და მათემატიკასთან, კერძოდ:

- აზროვნების მათემატიკური წესი
- საყოველთაო მათემატიკა
- ლოგიკა
- ბიზნესის და მართვის სკოლების „კალკულუსი“
- მართვის სკოლის „სტატისტიკა“
- შესავალი ციფრულ ტექნოლოგიებში
- ზოგადი ფიზიკის მათემატიკური მეთოდები
- ფიზიკის სკოლის ნებისმიერი „საბაზო განათლების“ საგანი.
- ელექტრო და კომპიუტერული ინჟინერიის პროგრამის ნებისმიერი საბაზო, ზოგადი და ძირითადი განათლების საგანი
- კომპიუტერული მეცნიერებებისა და მათემატიკის პროგრამის ნებისმიერი საბაზო, ზოგადი და ძირითადი განათლების“ საგანი.
- შენობის სისტემების ინჟინერიის პროგრამის ნებისმიერი „საბაზო განათლების“ საგანი.
- სხვა.

*გაითვალისწინეთ, რომ მობილობის ვადებიდან გამომდინარე შესაძლებელია გადაწყვეტილება მობილობის შესახებ იქნეს მიღებული FX გამოცდების ჩატარებამდე, საგნებში მიმდინარე შეფასებების საფუძველზე.

V. შენობის სისტემების ინჟინერიის პროგრამა

წინაპირობები/კრიტერიუმები

1. კანდიდატს 2019 წლის მერე ერთიან ეროვნულ გამოცდებზე უნდა ჰქონდეს ჩაბარებული მათემატიკა

2. ტესტი მათემატიკაში - 50 ქულა.

10 მათემატიკური ამოცანა, მათგან 7 სკოლის მათემატიკის სირთულის (28 ქულა);

3 - შედარებით რთული ამოცანა, შესაბამისობაში კალკულუსის საწყისებთან (22 ქულა);

3. აკადემიური მოსწრება - 30 ქულა.

კრიტერიუმის შეფასება მოხდება შემდეგნაირად:

- იმ შემთხვევაში, თუ გაქვთ მიღებული უარყოფითი შეფასება (F ან FX) ნებისმიერ ერთ STEM საგანში*, აკადემიურ მოსწრებაში დაგეწერებათ 0 ქულა.
- დანარჩენ შემთხვევებში აკადემიური მოსწრება შეფასდება თქვენი მიმდინარე GPA-ს პროპორციულად, მაგალითად თუ თქვენი მიმდინარე GPA არის 3.6, მაშინ აკადემიურ მოსწრებაში დაგეწერებათ 27 ქულა.

4. სამოტივაციო წერილი - ბონუს 1 ქულა.

კრიტერიუმის შეფასება მოხდება შემდეგნაირად:

- სამოტივაციო წერილი წარმოდგენილია და პასუხობს სათაურს - 1 ქულა
- სამოტივაციო წერილი წარმოდგენილი არ არის/ არ პასუხობს სათაურს - 0 ქულა

*სამოტივაციო წერილის მოცულობა - მაქსიმუმ 500 სიტყვა

5. გასაუბრება - 20 ქულა.

გასაუბრებაზე შემოწმდება:

- მოტივაცია, სფეროსადმი ინტერესი
- კომუნიკაციისა და ლოგიკური მჯელობის უნარები
- აკადემიური გამოცდილება
- ეთიკის სტანდარტი

დადებითი გადაწყვეტილების მიღებისთვის კანდიდატმა უნდა დააგროვოს მინიმუმ 71 ქულა

*STEM საგნებია ნებისმიერი საგანი დაკავშირებული მეცნიერებასთან, ტექნოლოგიებთან, კომპიუტერულ მეცნიერებებთან, ინჟინერიასთან და მათემატიკასთან, კერძოდ:

- აზროვნების მათემატიკური წესი
- საყოველთაო მათემატიკა
- ლოგიკა
- ბიზნესის და მართვის სკოლების „კალკულუსი“
- მართვის სკოლის „სტატისტიკა“
- შესავალი ციფრულ ტექნოლოგიებში
- ზოგადი ფიზიკის მათემატიკური მეთოდები
- ფიზიკის სკოლის ნებისმიერი „საბაზო განათლების“ საგანი. - ელექტრო და კომპიუტერული ინჟინერიის პროგრამის ნებისმიერი „საბაზო და ძირითადი განათლების“ საგანი
- კომპიუტერული მეცნიერებებისა და მათემატიკის პროგრამის ნებისმიერი „საბაზო, ზოგადი, ძირითადი და სპეციალობის არჩევითი განათლების“ საგანი.
- შენობის სისტემების ინჟინერიის პროგრამის ნებისმიერი „საბაზო განათლების“ საგანი.
- სხვა.

*გაითვალისწინეთ, რომ მობილობის ვადებიდან გამომდინარე გადაწყვეტილება მობილობის შესახებ იქნება მიღებული FX გამოცდების ჩატარებამდე, საგნებში მიმდინარე შეფასებების საფუძველზე.

VI. საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამა

წინაპირობები/კრიტერიუმები

1. კანდიდატს 2019 წლის მერე ერთიან ეროვნულ გამოცდებზე უნდა ჰქონდეს ჩაბარებული მათემატიკა ან ისტორია
2. აკადემიური მოსწრება - 30 ქულა
 - აკადემიური მოსწრება შეფასდება მიმდინარე GPA-ის მიხედვით. მაგალითად თუ მიმდინარე GPA არის 2.3-ზე ნაკლები, მაშინ აკადემიური მოსწრება ფასდება 0 ქულით.
 - ეთიკის კოდექსის დარღვევის შემთხვევაში აკადემიური მოსწრება ფასდება 0 ქულით.
3. სამოტივაციო წერილი - 10 ქულა
4. გასაუბრება - 60 ქულა
კრიტერიუმები:
 - ა) მოტივაცია - 30 ქულა
 - ბ) მსჯელობის და ანალიზის უნარი - 20 ქულა
 - გ) აკადემიური გამოცდილება - 10 ქულა

გასაუბრების წარმატებით გავლისთვის კანდიდატმა უნდა მიიღოს მინიმუმ 80 ქულა

5. გამოცდა უცხო ენაში (სურვილის შემთხვევაში კანდიდატი აბარებს შესასწავლი ენის შესაბამისი დონის გამოცდას)

კრიტერიუმი:

- ა) წერიტი გამოცდა - 70 ქულა (ტესტი)
- ბ) ზეპირი გამოცდა - 30 ქულა

დადებითი გადაწყვეტილების მიღებისთვის კანდიდატმა უნდა მიიღოს მინიმუმ 81 ქულა

VII. სამართლის საბაკალავრო პროგრამა

წინაპირობები/კრიტერიუმები

1. კანდიდატს 2019 წლის მერე ერთიან ეროვნულ გამოცდებზე უნდა ჰქონდეს ჩაბარებული მათემატიკა ან ისტორია
2. წერიტი ანალიტიკური ნაშრომი (40 ქულა)
კრიტერიუმები:
 - ა) პრობლემის კრიტიკული ანალიზი (20 ქულა)
 - ბ) პრობლემის შესახებ თანმიმდევრული მსჯელობა (20 ქულა)

გასაუბრებაზე დაბარება ხდება თუკი წერიტ ნაშრომში კანდიდატი მიიღებს 24 ქულას ან მეტს.

3. გასაუბრება (60 ქულა),
კრიტერიუმები:
 - ა) პროფესიისადმი ინტერესი (18 ქულა)
 - ბ) კრიტიკული აზროვნების უნარი (24 ქულა)
 - გ) თანმიმდევრულად მსჯელობის უნარი (18 ქულა)

ასევე ყურადღება მიექცევა ეთიკის სტანდარტს.

დადებითი გადაწყვეტილების მიღებისთვის კანდიდატმა უნდა დააგროვოს ჯამში მინიმუმ 70 ქულა.

VIII. ფიზიკის სკოლა

წინაპირობები/კრიტერიუმები

1. კანდიდატს 2019 წლის მერე ერთიან ეროვნულ გამოცდებზე უნდა ჰქონდეს ჩაბარებული მათემატიკა
2. ტესტი მათემატიკაში
ლოგიკური ტიპის ამოცანები, რომელიც არ მოითხოვს უმაღლესი მათემატიკის ცოდნას. ტესტი მათემატიკაში შედგება 5-7 კითხვისგან. გასაუბრების ეტაპზე მოსახვედრად საკმარისია 50 ქულის დაგროვება
3. მინიმალური GPA 2.5
4. გასაუბრება
კრიტერიუმები:
 - ა) მოტივაცია - 30 ქულა
 - ბ) აკადემიური მოსწრება (დგინდება ნიშნების ფურცლის საფუძველზე) - 70ქულა

ასევე ყურადღება მიექცევა ეთიკის სტანდარტს.

დადებითი გადაწყვეტილების მიღებისთვის კანდიდატმა უნდა დააგროვოს ჯამში არანაკლებ 80 ქულა

IX. ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა

წინაპირობები/კრიტერიუმები

1. გასაუბრება

კრიტერიუმები:

ა) მოტივაცია (60 ქულა)

ბ) კომუნიკაციისა და ლოგიკური მსჯელობის უნარი (40 ქულა)

ასევე ყურადღება მიექცევა ეთიკის სტანდარტს.

დადებითი გადაწყვეტილების მიღებისთვის კანდიდატმა უნდა დააგროვოს ჯამში არანაკლებ 80 ქულა.

X. ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა ოპერაციების მენეჯმენტში

წინაპირობები/კრიტერიუმები

1. გასაუბრება

კრიტერიუმები:

ა) მოტივაცია (60 ქულა)

ბ) კომუნიკაციისა და ლოგიკური მსჯელობის უნარი (40 ქულა)

ასევე ყურადღება მიექცევა ეთიკის სტანდარტს.

დადებითი გადაწყვეტილების მიღებისთვის კანდიდატმა უნდა დააგროვოს ჯამში არანაკლებ 80 ქულა.

XI. სამაგისტრო პროგრამა ფინანსებში

წინაპირობები/კრიტერიუმები

1. გასაუბრება

კრიტერიუმები:

ა) მოტივაცია (60 ქულა)

ბ) კომუნიკაციისა და ლოგიკური მსჯელობის უნარი (40 ქულა)

ასევე ყურადღება მიექცევა ეთიკის სტანდარტს.

დადებითი გადაწყვეტილების მიღებისთვის კანდიდატმა უნდა დააგროვოს ჯამში არანაკლებ 80 ქულა.